



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 12

2016 წლის 15 თებერვალი

ხაშური



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №144 განკარგულებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს - ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანებას (ს/კ 243918070) სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ტექნიკურ-მატერიალური ბაზის გაუმჯობესების მიზნით ესაჭიროება სასცენო რეკვიზიტის (ფარდების) და საოფისე ტექნიკის (პროექტორის) შეძენა, რის გამოც საჭირო გახდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის № 144 განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის 2015 წლის №827/09 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №144 განკარგულებით დამტკიცებულ „ ხაშურის მუნიციპალიტეტის ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში“, პროგრამის ბიუჯეტს დაემატოს 5000 ლარი, საერთო ბიუჯეტი ნაცვალად 196 500 ლარისა განისაზღვროს 201 500 ლარით და დანართი №1 შეიცვალოს ახალი დანართი №1-ით (დანართი №1 თან ერთვის 1 ფურცლად).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, კოსტავას ქ.№15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მოქმედების სფერო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ შემდეგ ობიექტებს: ქ. ხაშურში – ორ კულტურის ცენტრს (რუსთაველის ქ.№6 და თამარ მეფის ქ.№14), დაბა სურამში და სოფელ ქვიშხეთში კულტურის ცენტრებს.

პროგრამის ძირითადი მიმართულებები:

ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაცია.

ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა.

კულტურული და საგანმანათლებლო დონის ამაღლება.

ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენა, მათი ხელშეწყობა და წახალისება.

თანამედროვე მუსიკის კონცერტების მოწყობა.

პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვროს ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები 201 500 ლარის ოდენობით:

სულ სუბსიდიის ოდენობა	201 500
მათ შორის შრომის ანაზღაურება	161 940

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

ხელოვნების, აგრეთვე ქართული ფოლკლორის განვითარება და პოპულარიზაცია.

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარება და ხელოვნებით დაინტერესებულ პირთა რაოდენობის ზრდა.

ახალგაზრდობის ჩამოშორება ქუჩის მაგნე ჩვევებისაგან, მათი გემოვნების დახვეწა და ინტელექტუალური შესაძლებლობები

შეფასების ინდიკატორი:

ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;

კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა;

კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.